1-ს ოკტომბერს. წელიწადი მესამე. 1885 წელს.

# მწყემსი

№ 19.

ორ-კვირეული გამოცემა. არა ოფიციალური ნაწილი.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი“ რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мъстечко Квирилы, Въ редакцію „Микемси“ (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

## ქართული სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთის «დროების» აღკრძალვისა გამო.

თექვსმეტს სეკტემბერს «დროების» გამომცემელმა დაურიგა «დროების» ხელის მომწერთა შემდეგი ცნობა: «დროების» გამომცემლის გ. დ. ქართველიშვილის სახელობაზედ რედაქციაში მიღებულ იქმნა კავკასიის ცენზურის კომიტეტისაგან შემდეგი ცნობა:

«უმაღლესის მთავრობის განკარგულებით გაზეთის «დროების» გამოცემა, ცენზ. წესდ. მე-XIV ტომ., 1873 წ. დამატ., 52 მუხლ. შენიშვნის ძალით (დამატ. 1876 წ.), სრულიად აღკრძალულ იქმნა».

მთელს საქართველოში ერთად ერთი სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი—«დროება» იყო და ადვილი წარმოსადგენია ის მწუხარება, რომელსაც ამ გაზეთის მოსპობა დაბადებს ყველა ქართველებში. ცხრამეტი წლის განმავლობაში «დროების» კითხვას ისე შეეჩვია ქართველი საზოგადოება, რომ თითქმის ყველას მიუცილებელ მოთხოვნილებად შეექმნა იგი.

დღეს თუმცა ბეჭვდითი სიტყვა სანატრელ მდგომარეობაში არ არის, მაგრამ არც ძველი დრო იყო მაინცა და მაინც ძლიერ სახარბიელო. წინეთ რედაქტორს, განსვენებულ ს. ს. მესხს ბევრათ უმჯობესად, გონივრულად და წინ დახედულად მიჰყავდა საქმე «დროების» რედაქციაში. ჩვენ თვითონ ვიცით, თუ როგორ გაჭირვებაში იყო ხოლმე ჩავარდნილი განსვენებული ს. ს. მესხი, რედაქტორი «დროებისა», მაგრამ თავის სიფრთხილით და წინ დახედულობით საქმე არ წაუხდენია, ვიდრემდის ნამეტანი შრომისაგან სასტიკად დაზიანებულმა თავი არ დაანება «დროების» რედაქტორობას.

მის შემდეგ გაზეთი «დროება» გადვიდა ბ. ი. მაჩაბელის ხელში და გამგეობაში; მაგრამ ბ. მაჩაბელმა, სამწუხაროდ, მალე აგრძნობია საზოგადოებას შიში «დროების» მომავალ მედზედ. ამას თუმცა ყველა არ ცნობდა, მაგრამ ვინც ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობა იცოდა, მისთვის ეს ადვილი შესატყობი იყო. ამას ჩვენ ეხლა კი არ ვამბობთ, ერთი წლის წინათ ვაფრთხილებდით «დროების» რედაქციას. აილეთ ჩვენი გამოცემის წარსული წლის მე № 11-ი პირველი ივნისიდამ, 11 გვერდი. აი

სხვათა შორის, როგორი სიტყვებით ვაფრთხილებდით ჩვენ «დროების» რედაქციას:

უნდა ახსოვდეს «დროების» რედაქციას, რომ იგი პასუხის მგებელია საზოგადოების წინაშე, რომ ამდენი ხნის გაზეთს გაუჭირვოს რამე თავისი წინ დაუხედავობით. ჩვენ არა თუ არ გვაქვს სახეში დევნა «დროებისა», არამედ ბევრსა ვსწუხვართ, რომ საზოგადოება კრძალვით მოიხსენიებს ძველ რედაქციას და ეხლანდელი რედაქციის აჩქარებულება შიშს უბადავს მათ «დროების» მომავალ ბედზე... ამისათვის ურჩევთ «დროების» რედაქციას, რომ ცოტა წინ დახედულება იქონიოს მან და უსაფუძვლო და უადგილო სიტყვებს თავი დაანებოს.

ეს იყო ჩვენი ძმური რჩევა «დროების» რედაქციისადმი, მაგრამ, სამწუხაროდ არც ჩვენს და არც სხვის კეთილ რჩევას ყურადღება არ მიაქცია მან და აი შედეგი ამ უყურადღებლობისა...

ჩვენ მაინც იმედს არ ვკარგავთ, რომ მართებლობა სხვა რედაქციის ხელში «დროებას» ისევ მისცემს არსებობის ნებას და ამით დააკმაყოფილებს ყველა ქართველის გულს.

## მოგზაურობა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, არქიეპისკოპოსის პავლესი, საქართ. ექსარხოსისა თბილისიდამ ბიჭვინტამდი და ძველი ბიჭვინტის სობოროს კურთხევა.

(გაგრძელება)

ამ კოშკიდგან დასავლეთის მხარეზედ გადაშლილია შავი ზღვა, ხან წყნარი, ხან აღშფოთებული, რომლის ზვირთები სრულებით ფარავენ ხოლმე ფსირტსხის წყალს. ამ მონასტრიდამ ერთ ვერსტზე, მშვენიერ განმარტოებულ ადგილას, არის ძველი ეკლესია, აღშენებული სიმონ ქანანელის სახელზედ. ამ ეკკლესიის აღშენებას ისტორიკოსები მიაწერენ მეოთხე საუკუნეს ქრისტეს შემდეგ. ეკკლესია აღშენებულია იმ ადგილზე, სადაც დამარხული ყოფილა წმიდა მოციქული სიმონ ქანანელი. ეს ეკკლესია ამ უკანასკნელ დროს განაახლეს და დღეს მშვენიერად მორთულია და წირვა-ლოცვაც მასში ნიადაგია. ამ ეკკლესიაზედ საქართველოის და ხომხეთის ისტორიები მოგვითხრობენ შემდეგს: «ორის საათის სავალის სიშორეზედ ქალაქ სუხუმიდგან, ძველი დიოსკურისა დაინახებიან მრავალ ნამგვრევნი იმ ადგილს, სადაც ფსირტსხის წყალი შეერთვის ზღვას. ამ ნამგრევებში მოჩანს დიდი კოშკი, რომელზედაც ლაპარაკობს საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი და უწოდებს ამ ადგილს თავის სამეფოის სამძლვრად. ამ კოშკის უკან გაჰყვება დიდი ხევი, რომელიც გადის აფხაზეთში. ამ ხევის მაღლობებზედ მოჩანს ტრახეის ციხის კედლები, რომელიც თავ-განწირულ შეტაკების შემდეგ წაართვეს ბერძნებმა აფხაზებს ბერძნის მეფის იუსტინიანის მეფობის დროს. ზეგარდმოცემისა მებრ, დაშთენილის მეფე ვახტანგის ცხოვრების დროიდამ, სჩანს, რომ წმიდა მოციქული სიმონ ქანანელი გარდაიცვალა და დაიმარხა ნიკოფსიაში. ამ ადგილას არის აღშენებული ეკკლესია, რომელიც დღემდის არსებობს მთლად, მხოლოდ გუმბათი არის მოშლილი. ეკკლესიის შენობა არის ბერძნული ხელობისა. საფლავი მოციქულისა უნდა ყოფილიყო ტრაპეზ ქვეშ, მაგრამ ნაწილები მოციქულისა ალბათ გადიტანეს კათალიკოსებმა ბიჭვინტის სობოროში».

ეს ახალი ათონის სიმონ ქანანელის მონასტერი პირველად დაარსდა ჩვიდმეტს ოკტომბერს ათას რვაას სამოცდა თექვსმეტსა წელსა. ამ მონასტერში ბერებმა ამავე დროსავე დაარსეს სკოლა. მაგრამ, სამწუხაროდ, დიდხანს არ მოუცდიათ აქ ბერებს. შეიქმნა საზარელი ომი თათრებთან სლავიანების განთავისუფლებისათვის. აპრილის ჩვიდმეტს ჩყოზ-ს წელსა შენობების გასაღებები ბერებმა დაუტოვეს საზოგადოებას და ეს ადგილი მიატოვეს. ყველაფერი ნივთეულება გაიტანეს აქედგან და წაიღეს რუსეთში. ზოგიერთი ნივთები მოიტანეს ქუთაისში. და თვითონ რამოდენიმე ბერი გელათის მონასტერში ცხოვრებდა. გათავდა ომიანობა. პირველს ოკტომბერს, ჩყოჱ-ს წელსა, დაბრუნდენ ძმანი ამა მონასტრისა უკან და დანგრეულ შენობაებში დაიწყეს ეკკლესია ღვთის მშობლის მფარველობის სახელზედ. სამს ფებერვალს ჩყოთ-ს წელსა განაახლეს ძველი ტაძარი სიმონ ქანანელისა, რომელიც ათს მაისს ჩყპბ წ. კურთხებულ იქმნა დიდის ამბით საქართველოს ექსარხოსად მყოფის არქიეპისკოპოზის იოანიკიეს მიერ, დღეს მოსკოვის მიტროპოლიტისა.

დღეს მონასტერში მრავალი ბერებია: აქ არის ერთი არქიმანდრიტი, რომელიც მოხუცებულობისა გამო ველარ სწირავს. ერთი იგუმენი—იერონი, მმართველი და თავი გამგებელი ამ მონასტრისა, ხუთი მღვდელ-მონაზონი, სამი ბერ-დიაკონი, ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცდა ხუთი ბერი და ოთხმოცდა ათი მორჩილი მონასტერში მუშაობს ყოველ დღე ორასი მუშა რუსთა და აფხაზთაგანი.

აქ ბერებს გაუკეთებიათ მშვენიერი ბაღები, რომელნიც ყველაფერი ხილეულობით არიან შემკობილნი. დაურგავთ ხუთი ათასი ძირი ზეთის ხილისა, რომელიც დღეს ნამყოფით დატვირთულნი არიან; დაურგავთ სამოცდა ხუთი რჩეული ვენახის ვაზები უკეთესი გვარისა ქართველთა და ნიკოპიის ბაღთაგან მოტანილი. დაურგავთ აგრეთვე ორასი სხვა და სხვა ხე-ხილები.

აქ არის სკოლა, რომელშიაც მონასტრის სრულის ხარჯით იზრდება ოცი ყმაწვილი რუსისა და აფხაზისა. აქ მდინარე ფსირტსხაზე გაუკეთებიათ ბერებს მშვენიერი წისქვილი. წყლის გადმოსაყვანად გაუკეთებიათ მშვენიერი ჯებირი, რომლისაგან წყალი დიდზედ არის შეგუბული. ეს ჯებირი ისე ოსტატურათ არის გაკეთებული, რომ როდესაც უნდათ, მთლათ გამოუშვებენ შეგუბულ წყალს. ამ წყალში თევზიც მრავალია. ერთი სიტყვით გასაოცარ სურათს წარმოგიდგენს თქვენ ამ მონასტრის ძმათა ცხოვრება. აქ ყველანი შრომობენ, ან ლოცულობენ, ან და მუშაობენ ბაღებში. მათთვის ღამით ლოცვა არის გაჩაღებული და დღისით მუშაობა. ამ მონასტრის ძმათა ერთი-ერთმანეთის მორჩილება და სიყვარულობითი ცხოვრება გასაოცარია.

პირველ სეკტემბერს მაღალ ყოვლად სამღვდელო პავლემ დაათვალიერა მონასტერი. ნახა სკოლა და ახლად დაწყებული დიდი შენობა ძმათა სადგომად, რომელიც ეხლანდელ მონასტერზედ ცოტა ზევით არის დაწყებული. დაათვალიერა ცხენის რკინის გზა, რომელიც ამ ბერებს გაუკეთებიათ ზღვის პირიდგან ამ ახალ შენობამდის სხვა-და-სხვა შენობის მასალის საზიდავათ და მეტის მეტად მოეწონა ამ ბერების ნამუშევარი, მეცადინეობა და გამჭრიახობა.

მონასტრიდამ ჩრდილოეთის მხრით არის ამაღლებული ერთი დიდი მთა ზღვიდამ თითქმის ორ ვერსტის სიმაღლეზე და ამ მთის თავზე მოჩანს ძველი ეკკლესიის და ციხის ნანგრევები. ამ გორაზე ბერებს დაუდგამთ სამლოცველო სახლი, რომელსაც რუსები ეძახიან «ჩასოვნიას»-ს. ეს სამლოცველო სახლი ძლიერ შორიდამ იხედება ზღვიდამ. ამ სამლოცველოზე ასასვლელად ბერებს გაუკეთებიათ მშვენიერი მიხვეულ-მოხვეული გზა, ასე რომ ცხენით თავისუფლად ახვალთ. მაღალ ყოვლად სამღვდელომ ინება ამ მთაზე აბრძანება და სამლოცველოს დახედვა, მაგრამ პაოზკით ასვლა ცხენებს გაუძნელდა და უკანვე მონასტერში დაბრუნდა.

ჩვენ კი ცხენებით ძლიერ ადვილად ავედით სულ მაღლობზე. ამ მთას ზღვის პირიდამ ცოტა ფარდოები აყვება და გზაც ამ მხრიდამ ადის დასავლეთით; მაგრამ აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით ისეთი დაქანებული კლდეები აქვს, რომ ფრინველის მეტს მისვლა არ შეუძლია. ამ მთის წვეროდამ დასავლეთის მხრით თქვენ დასჩერებიხართ შავ ზღვას სანამ თვალი მიგიწვდებათ. აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით თქვენი თვალი ხედავს მთებს, გორაკებს, მთის ფერდოებს და მშვენიერ მინდვრებს. ამ მშვენიერ, სამოთხის მსგავს ბუნებას თქვენი თვალი დიდ ხანს ვერ მოშორდება და ბოლოს, როდესაც ამ ბუნების ყურებით გაძღებით, უნებლიეთ მკერდიდამ ამოიკვნესებთ, როდესაც მოიგონებთ და შეადარებთ ეხლანდელ აფხაზეთის მდგომარეობას იმ დროს, როდესაც აფხაზთ ჰყავდათ თავისი ქათალიკოსები, როდესაც მათში ქრისტიანობა ბრწყინავდა სანთელივით და როდესაც მათში სიცოცხლე დუღდა...

რა სანახავებს არ ნახავთ თქვენ ამ მთის წვერზე? ამ მთის წვეროს სამ პირათ აქვს ციხის კედლები შემოვლებული დასავლეთის მხრით და სხვა მხრით, როგორც ზემოთ ვსთქვით, ფრინველის მეტს მისვლა არ შეუძლია. მთის წვეროზე არის ვაკე ადგილი. აქ უწინ ყოფილა დიდი ეკკლესია აშენებული, რომლის დღეს მარტო კედლებია დარჩენილი და ზოგან თაღიც. ეკკლესიას გარშემო აქვს აკლდამები მიშენებული. რომ დააკვირდებით შენობის ქვებს, რწმუნდებით, რომ ეს ეკკლესია უნდა იყოს ნაშენი იმ მუშებისაგან, რომელთაც ქუთაისში უშენებიათ ბაგრატის ნაშენი, დღეს დანგრეული დიდი სობორო. ამ მთის წვერზე არის ამოყვანილი მიწაში ოთხ-კუთხიანი წყლის დასაგუბებელი, რომელშიაც, ცოტა რომ სთქვას კაცმა, დაეტევა ათასი—ათას ხუთასი ჩაფი წყალი. ეს წყლის შესანახავი ისე მტკიცეთ არის ამოყვანილი მიწიდამ, რომ დღესეც კი სდგას მასში ნაწვიმარი წყალი.

ამ ეკკლესიის ეზო დაუწმენდიათ ილუმენის იერონის თაოსნობით. მრავალ ადგილას აღმოჩენილა სასაფლაოები. აქ ერთი სასაფლაო კუბის მსგავსთ თლილი ქვით არის ამოყვანილი; რომ აუყრიათ ზევიდამ დადებული ქვები, შიგ ძვლების მეტი არაფერი ყოფილა. ერთ ქვაზე, რომელიც სასაფლაოს თავი სწორა ყოფილა დადებული, არის ბერძნულად წარ-

წერილი: დაბადებული 209 წელ. გარდაცვლილი 285 არქიეპისკოპოსი მიხეილი 13 აპრილს. ნამდვილად სჩანს, რომ აქ ყოფილა დამარხული არქიეპისკოპოსი მიხეილი, მაგრამ ამ წარწერის გამოსაცნობად საჭიროა კარგი არხეოლოგი. *) ამ ზემო მოყვანილ სიტყვებს გარდა სხვა კიდევ ბევრი რამ სწერია ქვებზე, მაგრამ ძნელია მათიგამოცნობა, თუ კაცმა კარგად ბერძნული არ იცის. ზოგიერთ სასაფლაოებში აღმოჩენილა ოთხი-ხუთი მიცვალებული ერთად დამარხულნი. ერთ სასაფლაოში უნახავთ ერთი დიდი კაცის ძვლები სიგრძეზე, ფეხით და თავით ამავე სასაფლაოში ყოფილა ორ-ორი პატარა ბავშების ძვლები დაწყობილი, რომლისაგან სჩანს, რომ ერთად ყოფილან დამარხულნი. ერთი სიტყვით აქ ბევრი რამ არის არხეოლოგიურის მხრით საყურადღებო და, იმედია, ვინმე არხეოლოგთაგანი არ დაიზარებს ამ შესანიშნავი ადგილის დათვალიერებას. ეხლა ბერებს ერთ ძველ კოშკზე დაუდგამთ ხის სამლოცველო, რომელშიაც არის ივერიის ღვთის-მშობლის ხატის პირი და სხვა ხატებიც. ამ ხატის წინ ნიადაგ ამთია ლამპა და ერთი მორჩილი ნიადაგ აქ ცხოვრებს. ბევრს რამეს ვნახავდით აქ, მაგრამ სამწუხაროდ, ღამემ მოგვასწრო და ამისათვის დავბრუნდით მონასტერში.

1 სეკტემბერს, ღამით, მაღალ ყოვლად სამღვდელო პავლე მონასტერში დარჩა. მეორე დღეს სოხუმიდამ უნდა მოსულიყო სამხედრო ხოლმანდი «კაზბეკი» და წავეყვანეთ ბიჭვინტაში.

## ახალციხის მაზრიდამ.

ამა წლის 15 აგვისტოს მე დავესწარი საფარის მონასტრის დღეობაზე. აქ მრავალი ხალხი მოსულიყო როგორც ქ. ახალციხიდამ, აგრეთვე სხვა-და-სხვა სოფლებიდამ. მოსულ ხალხში თქვენ ნახავდით ქართველებს, სომხებს, თათრებს და ფრანგებს. თუმცა ხალხი ბლომათ იყო, მაგრამ დღეობამ რაღაცა მხიარულად ვერ ჩაიარა. ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო სიღარიბე. მართლაც, აქაურნი მცხოვრებნი, ცოტაოდენი პირების გარდა, ძალიან ღარიბნი არიან, რადგან თავიანთი საკუთარი სახნავ-სათესი მიწები არა აქვსთ.

საფარის მონასტერს გარს არტყია დიდი ქვითკირის გალავანი; ამ გალავანში თერთმეტი ეკკლესია არის თავიანთი სამწირველოებით. ამ თერთმეტ ეკკლესიაში უფრო შესანიშნავი არის ორი ეკკლესია: წმიდა საბისა და ღვთის-მშობლისა. ამ ორივე ეკკლესიებში ყოფილა ძვირფასი მხატვრობა და მასთან უძვირფასესი ქვებისაგან გაკეთებული კანკელი. ამ ქვების მინუში წარსულ წლებში წაუღია კნიაზ ტრუბეცკოის თბილისში, მაგრამ ქ. ახალციხიდგან ისევ უკან დაუბრუნებია.

ეს მონასტერი არის აღშენებული ათაბეგისაგან მეთორმეტე საუკუნეში. მხატვრობა, როგორც ზევითაც ვსთქვი, მეტად მშვენიერი და შესანიშნავი ჰქონებია ამ ეკკლესიას. რაც შეეხება შენობას, ამ ხრით ეს მონასტერი არ ჩამოუდგება მცხეთის სობოროს. კაცს ეგონება, რომ მთელი შენობა ერთი ქვისაგან არის აშენებულიო. კედლებზე მშვენიერი სახეებია გაკეთებული. მაგრამ უწინდელი შესანიშნავი მხატვრობა ძალიან დაუმახინჯებიათ მტრებს; მაგრამ ალაგ-ალაგ კიდევ დარჩენილა ძველი მხატვრობა; მაგალ. წმიდა საბას სურათი და ამ მონასტრის გამკეთებლებისა, ათაბეგების, უვნებლად არიან დაცულნი. შვიდ ძმათ ათაბეგთა ხელში უჭირავთ ეკკლესიის პლანი და ევედრებიან წმიდა საბასა, რომელიც მათ წინ არის დახატული, რომ მან საბამ მისცეს მათ შეძლება ამ ეკკლესიის აგებისათვის. წმიდა საბაც ლოცვა-კურთხევას აძლევთ მავედრებელთა.

ამ დღეობაზე ეკკლესიაში, სხვათა შორის, ვნახე მე მამა-პაპით ქართველნი, მაგრამ დღეს მაჰმადის სარწმუნოების აღმსარებელნი, რომელნიც სასოებით დაიარებოდნენ ეკკლესიაში, ყიდულობდნენ სანთელს-საკმეველს. სანთელს ანთებდნენ ხატების წინ და საკმეველს უყრიდნენ საცეცხლურში მღვდელს. ამის მნახველი ყოველი ნამდვილი ქართველი აღტაცებაში მოვიდოდა. ამ ფაქტისაგანა სჩანს, რომ ამ გამაჰმადიანებულ ქართველებს არ დავიწყებიათ თავიანთი უწინდელი სამლოცველოები და მასთან არც თავიანთი მოძმე ხალხი და, იმედია, რომ ეს ხალხი, კაცი რომ იყოს შემგონებელი, ისევ მიიღებს ჩვენს სარწმუნოებას და კვალად ჩვენი ნამდვილი მოძმე შეიქნება.

დღეობაზე წირვა შესრულდა ქართულს ენაზე. ადგილობით მღვდელმა წირვის შემდეგ ხალხს მი-

*) დასაჯერი არ არის, რომ ეს ქორონიკონი 209 წლის იყოს. ალბათ გვერდზედ ექნებოდა დაწერილი ათასი, მაგრამ მოთხრის დროს მოსცილდებოდა ეს რიცხვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართა მოკლე სიტყვით, რომელშიაც გამოხატა დღეობის მნიშვნელობა; შემდეგ სიტყვისა შესრულებულ იქმნა პარაკლისი.

და ბოლოს უნდა ვსთქვათ, რომ ძალიან კარგი იქნებოდა ამ მონასტერს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდნენ და ეცდებოდნენ, რომ შეკეთების დროს ძველი მხატვრობა დაცულ იქმნეს. ამასთან სასულიერო მთავრობას ოცი თუმანი მეტი არ დაეხარჯება, რომ ახალ-ციხიდამ ამ მონასტრამდის ხეირიანი გზა გაიყვანოს. მონასტერი ახალ ციხიდამ სულ ხუთ ვერსტზეა, მაგრამ მისვლა-მოსვლა უგზობისა გამო ძალიან გაძნელებულია. ამ მონასტერს რომ ფაეტონი მიუდგებოდეს, მაშინ ბევრნი პირნი გახდებოდნენ ღირსნი ამ მონასტრის ნახვისა და ამით მონასტრის შემოსავალიც იმატებდა.

დღეს ახალ-ციხელი.

---

## წერილი რედაქტორთან.

მ. რედაქტორო!

ჩვენი პატივცემული გაზეთის მე **17** №-ში წავიკითხე წერილი ზუგდის მაზრის სახალხო და სამრევლო სკოლების მასწავლებელთაგან გამოგზავნილი; ამ წერილში, სხვათა შორის, გამოხატულია სოფლის მასწავლებლების შევიწროებული მდგომარეობა და მასთან ისიც არის მოხსენებული, თუ ეს მასწავლებელნი რამდენათ ბრკოლდებიან მის გამო, რომ საჭირო წიგნების თავის დროზე და რიგიან ფასად მოპოვება არ შეუძლიათ. ამასთანავე მათ მოჰყავთ ისიც, რომ მე მათ აღუთქვი წიგნების საწყობების გამართვა ჩემს სახლში და ღ. ცაიშში, საიდამაც მასწავლებელთ შეეძლებათ წიგნების ყიდვა იმ ფასად, რა ფასადაც მე თვითონ მექნება ნაყიდი. ამ მათი წერილის შემდეგ მე უფრო დავრწმუნდი, რომ ასეთი წიგნის საწყობები ძალიან საჭირონი ყოფილან, ამისათვის, როგორც ამ მასწავლებლებსაც აღუთქვი წინეთ, დღეიდამ ბეჯითად შეუდგები ამისთანა წიგნების საწყობების დაარსებას. ერთი წიგნის საწყობი იქმნება თვით ჩემს სახლში და ერთიც ღ. ცაიშში, რომელიც ზუგდიდიდამ ათ ვერსტზეა. ეს ადგილი თითქმის შუა ადგილია მთელი მაზრისა. ამ საწყობებიდამ სოფლის მასწავლებლებს წიგნებს მივსცემ იმავე ფასად, რა ფასადაც მექნება მე თვითონ ნასყიდი ეს წიგნები მათი ავტორებისაგან. ამ შემთხვევაში მე ვსწირავ სასწავლებელს: **1)** წიგნების გამოწერისთვის მომხდარ ხარჯს; **2)** იმ ფულების სარგებელს, რომელიც წიგნების სასყიდლად დაიხარჯება; **3)** წიგნების საწყობი ბინების ქირას და **4)** ჩემს შრომას. მხოლოდ ვსთხოვ ჩვენი მაზრის ყველა სოფლის და სამრევლო სკოლების მასწავლებელთ **1** დეკებრამდე ამა წლისა გამომიგზავნონ მე სია იმ წიგნებისა, რომელნიც მათთვის საჭირონი არიან. ამასთან უნდა მაცნობონ, თუ რომელი წიგნის რამდენი ეგზემპლიარი იქნება საჭირო. როცა ამ ცნობებს შევკრებ, ვეცდები, რომ მომავალი წლის **1**-ს იანვრისათვის დავამზადო ყველა საჭირო წიგნები და ამით შემწეობა გაუწიო მასწავლებლებს. არასოდეს არ დაგვიზოგავს ჩვენი შრომა და მეცადინეობა სწავლის გავრცელების საქმეში და დღესაც, რითაც შეგვიძლია, ხელს მოუწყობთ ამ კეთილ საქმეს. *)

დეკანოზი მიხეილ მეუნარგია.

---

## მაჰმადი-ისლამის დამაარსებელი

და

## საქართველო არაბების მფლობელობაში.

შექმნისა თანავე კაცი გახდა თაყვანის მცემელად ერთ-არსის ღვთისა. შესცოდა კაცმა სამოთხეშივე და გახდა მონა ეშმაკისაცა. რამდენიც ჟამი გადიოდა, იმდენი კაცის ნათესაობა ივიწყებდა ღმერთსა და ალმერთებდა ღვთის სხვა და სხვა ქმნილებათა. ბოლოს ხალხი იქნამდის მივიდა, რომ სრულიად

---

*) თხუთმეტი წელიწადი გადის აგერ, რაც ჩვენ ვიცნობთ პატივცემულ დეკანოზს მ. მიხეილ მეუნარგიას, რომელიც, მართლა, გულით მონდომილია, რომ ჩვენს ხალხში წიგნების კითხვა გაავრცელოს. ამისათვის ის ან თვით ავტორებისაგან ან წიგნის მაღაზიებიდგან ყიდულობს პატარა წიგნებს და ავრცელებს ხალხში. ჭეშმარიტად სამადლო საქმეს ჩადის მამა მეუნარგია და, იმედია, სხვა მისი მოძმენიც წაბაძვენ მის სამაგალითო ქცევას.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაივიწყა უფალი. ამისათვის ხალხი დაისაჯა მსოფლიო წარღვნითა. მაგრამ წარღვნის შემდეგაც გონს არ მოვიდა იგი და უმძიმეს პირველისა შეცოდებაში შთავარდა. ხალხის განსაკურნებლად და ჯოჯოხეთისაგან სახსნელად მოვიდა ამ ქვეყნად ერთი პირი ღვთისა—მაცხოვარი იესო ქრისტე, რომელმაც დაარსა ახალი სარწმუნოება—ქრისტიანობა. ეს ახალი სწავლა ირწმუნა ხალხოსნობის ერთმა ნაწილმა—უმცირესმა, უმეტესი კი ისევ ძველებურად თაყვანსა სცემდა მზესა, მთვარესა, ვარსკვლავთა, ცხოველთა და სხვ. ამ მდგომარეობაში ხალხოსნობამ ქრისტეს შემდეგ იცხოვრა 622 წელიწადი და ამ წელიწადს კი გამოჩნდა ახალი სჯული ანუ სწავლა—მაჰმადიანობა. *) დამაარსებელი ამ სარწმუნოებისა იყო მაჰმადი, წოდებული თათრულად მაჰამმადად. ჩვენის ქვეყნის ბედ-იღბალზე ამ ახალს სწავლას დიდი გავლენა ჰქონდა. ამიტომ უადგილო არ იქნება, რომ მოვიყვანოთ ცნობები მაზედ, თუ როგორ დაიბადა, აღორძინდა და გავრცელდა ქვეყანაზე ეს სწავლა მოსლემიანთა.

## I.

**570 წ.** მექქაში იშვა მაჰმადი. დედა მისი, ამენი, იყო ურიის ქალი, მამა-აბდალლა—კეთილ-შობილი არაბის კორეიშის ჩამომავალი. აბდალა ახალ-გაზდობაშივე გარდაიცვალა, მას დარჩა მხოლოდ ხუთი აქლემი და ტყვე ეთიოპელი. ექვსის წლის მაჰმადს დედაც მოუკვდა. მცირე წლოვანი ყრმა მიიღო მისმა ბიძამ-აბუ-თალებმა.

აბუ-თალები იყო დარაჯი არაბთა ხალხის სალოცავისა. მექქის ტაძარში ინახებოდა შავი ქვა, რომელიც არაბთა მიაჩნდათ, ვითომც აბრაამისათვის გამოეგზავნოს ღმერთს ეს ქვა, ანგელოზის გაბრიელის (ჯიბრაილ) ხელით, მაშინ, როდესაც აშენებდენ ამ ტაძარსა. როგორც ქრისტიანენი მოგზაურობდენ იერუსალიმში თაყვანის-საცემელად უფლის საფლავისა, ისე არაბნი მიდიოდენ მექქაში თავის სალოცავის თაყვან-საცემლად. მლოცავნი ჩქარის ნაბიჯით შვიდ გზის შემოუვლიდნენ ხოლმე ქაჰბასა, შვიდ გზის მიეყრდნობოდენ იმ ქვასა და შვიდ გზის გაისროდენ ქვებსა მინას ველზედ. ყველა ეს ჩვეულებანი დაცულნი არიან აქამომდე.

*) მთელს ქვეყანაზე ითვლება 1,383 მილიონი მცხოვრებელი, რომელთაგან: 390 მილიონი ქრისტიანია, 158 მილიონი, მაჰმადიანი, 830 მილ. კერპთ-თაყვანის მცემელნი და 5 მილიონი ურიანი.

აბუ-თალები იყო მხნე და გამბედავი ვაჭარი. ხშირად შორეულ ქვეყნებს მიმო-იმგზავრებდა ხოლმე და ხან-და-ხან პატარა მაჰმადსაც გაიყოლებდა თან. ყრმა აღიზარდა თავის ბიძის სახლში და შეიქმნა მშვენიერი ჭაბუკი. სასიამოვნოდ რჩებოდა ყველას მისი ვაჟ-კაცური შეხედულება, პირის-სახის ჭკვიანი გამომეტყველება, საამო ღიმილი და მაღალი, ტკბილ-საამური ხმა.

**13** წლის მაჰმადი თავის ბიძასთან ერთად წავიდა სირიაში და იქ გაიცნო ერთი ქრისტიანი ბერი-სერგეი. **14** წლის მაჰმადი ბიძასთან ერთად დაესწრო მტერებთან ბრძოლაში და აქ მან გამოიჩინა დიდი ვაჟ-კაცობა. **25** წლის მაჰმადი მიებარა ერთ მდიდარ ქვრივს-ხადიჯას იმავე კორეიშის გვარისას. ამ დედაკაცის სავაჭრო საქმეებზედ მაჰმადმა ბევრი იარა და იღვაწა. დასაჯილდოებლად ამ გვარის ერთგულებისა ხადიჯა მიეთხოვა მაჰმადსა, რის გამო ეს უკანასკნელი შეიქმნა მდიდარი ვაჭარი.

## II.

მგზავრობამ, დიდმა ვაჭრობამ მექქის მოედანზედ და თვით ქაჰბაშიაც მაჰმადი გააცნო ურიებს და ქრისტიანებსა. მისი შეხედულობანი ყოველ საქმეზედ განცხოველდა, განათლდა და უფრო მეტად შეიგნო მან საჭიროებანი თვისის სამშობლოისა. მაჰმადმა შეამჩნია რელიგიური რწმენის დაძაბუნება-დასუსტება ურიებში, უთანხმოება ქრისტიანებში და როგორც იუდიანთა, ისე ქრისტიანთა სარწმუნოების აღვიარება არ ისურვა. მისი მამული კი მოცული იყო წარმართობით. ამასთანავე არაბეთის ხალხი დაყოფილი იყო მრავალ, ურთი-ერთ მოპირდაპირე ბანაკებად, რის გამო ამა დაუსრულებელ ბრძოლაში ილეოდა უკეთესი ძალა ხალხისა. არაბისტანს ეჭირვებოდა გამახალისებელი, გამაცოცხლებელი კაცი. მაჰმადმა, მყუდროებასა შინა ბევრი იფიქრა და განსაჯა ამაზედ და ბოლოს განიზრახა ახალი გამამხნევებელი ძალა შთაებერა არაბთათვის.

როდესაც მაჰმადი 40 წლისა შეიქნა, მან თავის ცოლს უთხრა, რომ ვითომ მას ეჩვენა «კურთხეული ღამე», როდესაც იგი გარრას გამოქვაბულში იყო, მაშინ გამოეცხადა მას ანგელოზი და უთხრა: «მაჰმადი! შენ ხარ მოციქული ღვთისა და მე კი გაბრიელი». ხადიჯამ დაუჯერა მაჰმადს და შეჰფიცა უფალსა, რომელსაც მარჯვენესა თვისსა უპყრია სული ყოველთა, რომელ მაჰმადი—წინასწარმეტყველია. შემდეგ მაჰმადი ირწმუნეს: ხადიჯას მამამ—ალიამ, აბუ თალების ცხრა წლის ვაჟმა, აბუ

ბექრმა, შემდეგში დიდ-მორწმუნე, მართალმა მოწამემ და მოადგილემ მაჰმადისამ და აგრეთვე მაჰმადისაგან განთავისუფლებულმა მონამ ზეიდმა.

## III.

მყუდროებაში მეცადინეობამ სამი წლის განმავლობაში მაჰმადს ძლივს-ძლიობით შესძინა ორმოცი მოწაფე. მეორე წელიწადში მაჰმადმა განიზრახა სახალხოდ აღიარებინა თავი თვისი წინასწარმეტყველად. ორმოცი კაცი დაიპატიჟა მან სადილად; გაუმასპინძლდა პურითა, ბატკნითა, რძითა და ბოლოს უთხრა მათ: ვერც ერთი სული ვერ მოგანიჭებთ თქვენ კეთილსა; მე მომაქვს თქვენთვის ბედნიერება აწმყო და მომავალი ქვეყნისა. უფლის ნებაა, რომ მოგიწოდოთ მისდამი; თქვენგან რომელსა სურს გახდეს ჩემი ვეზირი? ვინ იტვირთებს ნაწილს ჩემის შრომისას? რომელსა სურს გამიხდეს ძმად, მეგობრად და თანამოზიარედ?»—ვერავინ გაბედა ეპასუხა მისთვის; ხოლო ყველაზე უმცროსი, ყველაზე უმნიშვნელო აბუ თალების შვილი—ალია წამოდგა და მაღალის ხმით წარმოსთქვა: «წინასწარმეტყველო, მე მსურს გავხდე შენი თანამოზიარე». მაჰმადი გადაეხვია ალიასა და სხვებს კი უბრძანა, რომ დამორჩილებოდენ მას. ყველანი ხარხარებდენ და აბუ-თალებს დაცინვით ეუბნებოდენ: შენც უნდა ემორჩილებოდე შენს შვილსაო!

მაჰმადმა დაცინვას ყური არ ათხოვა და მუყაითად შეუდგა თავის წადილის განხორციელებისთვის ზრუნვას. იმან დაიწყო ქადაგება თვისთა თაყვანისმცემელთა შორის და აგრეთვე მექქაშიაც. მცირეოდენნი ერწმუნებოდენ მას, მოწინააღმდეგეთა დასი კი უფრო მრავლდებოდა. მეგობარნიც კი ურჩევდენ მაჰმადსა დაეტოვებინა თვისი განზრახვა. მაგრამ მაჰმადმა უპასუხა: «მე მაშინაც კი არ დავტოვებ ჩემს განზრახვას, რომ მარჯვენეში ჩამიდონ მზე და მარცხენეში მთვარე».

ყველაზე დიდი წინააღმდეგომა გაუწიეს მაჰმადს კორეიშებმა, რომელთაც მის მომხრეთა უმეტეს ნაწილს (83 კაცი და 18 ქალი) ძალა დაატანეს, რომ გაქცეულიყვნენ არაბეთის მომიჯნავე ეთიოპიაში, თვითონ კი შეჰკრეს პირობა წინააღმდეგ მაჰმადისა და წერილობითი გარდაწყვეტილება მის სიკვდილზე გააკრეს ქაჰბის კედლებზე. ამიტომ მაჰმადსაც უნდა დაეტოვებინა მექქა. მაგრამ მისი ბიძა აბუ-თალები მიეშველა, მაჰმადმაც მოახერხა, რომ გაეუქმებინა ერთ-პირობა ყორეიშებისა: აბუ-თალებს გამოუცხადა, რომ, ვითომ, უფალმა მოჰბერა დიდი ქარიშხალი, რომელმაც დახვრიტა მის წინააღმდეგ შედგენილი განჩინების ყოველი სიტყვა, გარდა «ღმერთისა». მართლა, განჩინება დახვრეტილი ნახეს. ყორეიშები გააკვირვა ამ მოვლენამ, როგორც სასწაულმა და მათ თვისი განჩინება გააუქმეს.

## IV.

ამასობაში 619 წ. მოკვდა აბუ-თალები, მაჰმადის ცოლი ხადიჯაც; ორთავე ესენი ბევრს ექომაგებოდენ მაჰმადსა. ამათ შემდეგ ქომაგი და მშველელი გახდა მეორე ბიძა, ალ-აბბასი, რომელსაც ჩაჰბარდა ქაჰბის სალოცავი სადარაჯოდ. მაჰმადს დიდი იმედი ჰქონდა თავის-თავისა, იგი დარწმუნდა, რომ თვის მეგვარეებზე გავლენა არ ექნება, ამიტომ მიჰმართა უცხო ქვეყნელებს, რომელნიც მრავლობით მოდიოდნენ მექქაში როგორც სავაჭროდ, ისე თაყვანის-საცემლად ქაჰბისა. ახალ-ახალ განცხადებებზე მოთხრობებით მან ბევრი მორწმუნე გაიჩინა. აი ერთი ამ გვარი აზრთა აღმაფრენი მოთხრობათაგანი.

მაჰმადს ერთხელ მექის შორი-ახლო ეძინა. აქ გამოეცხადა მას ანგელოზი გაბრიელი, რომელსაც ემოსა იაგუნდისა და ოქროსაგან ქსოვილი ტანისამოსი. მან გამოიღო მაჰმადის გული, მოუჭირა მას და გამოადინა ერთი შავი წვეთი-თესლი ადამის ცოდვისა, წვეთის ადგილი გაუმსო სიბრძნითა და მოწყალებითა, მერე გული ისევ თავის ადგილას ჩასდო და მოციქულს მიჰგვარა ლურჯა ცხენი-ალ-ბორაქი, რომელიც იყო მალი, როგორც ელვა და ჰქონდა ნიჭი მეტყველებისა. წინასწარ-მეტყველს უნდოდა ცხენზე შეჯდომა, მაგრამ ცხენმა იგი იმ დრომდის არ მიიკარა, მინამ მოციქულმა არ აღუთქვა მას სამოთხე. რაწამს მაჰმადმა პირობა მისცა ცხენსა, იმავ წამს, ერთი თვალის დახამხამებამდე, ცხენმა მიიყვანა იგი სინას მთაზედ, იქიდგან ბეთლემში და იერუსალიმში. ყველგან წინასწარ-მეტყველმა ილოცა. იერუსალიმში აბრაამთან, მოსესთან, იესოსთან ერთად. იქიდგან მხოლოდ მოციქული (ცხენი ალ ბარაქი დაშთა იქვე—ტაძრის წინ) ანგელოზმა კიბით აიყვანა შვიდს ცაზედა. კიბის საფეხურები იყო ოქროსი, ვერცხლისა, იაგუნდისა და სხვა ძვირფასი ქვებისა. ერთი ცა მეორეს შორავდა ისეთ დიდ მანძილზედ, რომ სიკვდილის შვილი ძლივს მოივლიდა 500 წელიწადსა. მაჰმადმა კი ეს თვალ და გონება მიუწდომელი სივრცე მიმო-იფრინა ერთს წამსა. რაც იქ სიმშვენიერე იხილა, ძნელია მისი აღწერა. ენას აკლია იმ სიმშვენიერის გამომეტყველი სიტყვა

და გონებას წარმოდგენა. ყოველგან ოქრო და ძვირფასი ქვები, ყოველგან ბრწყინვალე სინათლე. ყოველ ცაზედ მაჰმადს მიესალმნენ ანგელოზები, მამათ-მთავარნი, ყოველი დროის და ჟამის წინასწარ-მეტყველნი. გაბრიელი აღვიდა მხოლოდ მეშვიდე ცამდე, სადაც უკვე ისმოდა ხმა ღვთისა, მაგრამ მაჰმადი აღვიდა უფრო მაღლა და დაუპირდაპირდა ტახტსა უფლისასა. ეს ტახტი უჭირავს ანგელოზს აზრეილს—დიდს, ვრცელს, როგორც სივრცე აღმოსავლეთიდამ დასავლეთამდე. აზრეილს აქვს მილიონი თავი, ყოველ თავს მილიონი პირი, ყოველ პირშია მილიონი ენა, ყოველი ენა ლაპარაკობს მილიონ ენაზე და ყველა ეს ენები ღამევ-დღევ, შეუწყვეტლივ ადიდებენ ღმერთსა. ღვთის ტახტის და აგრეთვე ყოველი ცის კარების თავზე არის შემდეგი წარწერა: «არა არს ღმერთი, ღვთის გარდა, და მაჰმადი—მისი წინასწარ-მეტყველია».

მაჰმადს თავი დაუტრიალდა, და ვილაცა უხილავმა არსებამ კი უთხრა: «მოდი და მოუახლოვდი დიდსა და ყოვლად ძლიერსა ღმერთსა». მიუახლოვდა თურმე მაჰმადი ღმერთსა და დიდხანს ემუსაიფა უფალსა. წარმოუთქმელმა სიტკბოებამ, საკვირველმა ნეტარებამ გაუქღენთა მთელი მისი არსება. მან სრულიად შეიგნო ნება უფლისა და ბრძანება მიიღო, რომ თვისი სახელი განუშორებლივ მოეხსენებინა უფლის სახელთან ერთად. ყოველი არაბისათვის უფალმა განაწესა ხუთი ყოველ დღიური ლოცვა (ნამაზი). მუსაიფის შემდეგ მაჰმადი უკუ მიიქცა. გაბრიელმა წაიყვანა იგი წინანდელ გზაზედ და მოვიდნენ ისევ იერუსალიმში. იქ მაჰმადი შეჯდა ლუჯაზე და იმავ ღამეს მივიდა მექქაში.

ამ ნაირმა ოსტატურმა და ხელოვნურად შედგენილმა ზღაპარმა დიდი შთაბეჭდილება იქონია იმ ხალხზე, რომლის გონება-ფიქრი ძლიერ გატაცებული და მდიდარია. პირველად, თუმცა მაჰმადის ზღაპარი ზღაპრად ეჩვენათ, მაგრამ შემდეგში კი ირწმუნეს იგი, როგორც ნამდვილი ფაკტი. აბუ-ბექრი მართლ-მორწმუნე ყველას ურჩევდა ერწმუნათ, რადგან, მისი აზრით, ყოველი თქმულება, რასაც კი იტყოდა წინასწარ-მეტყველი, ღვთისაგან არის და მაშასადამე ჭეშმარიტი უნდა იყო*).

*) არც ერთი ხალხისაგან არ მისდგომია იმდენი წვალება საქართველოს, რამდენი ტანჯვა და აოხრება თათრებისაგან ადგა ჩვენს მხარეს. ამისათვის საჭიროდ ვრაცხთ გავაცნოთ ჩვენ მკითხველებს მაჰმადის სარწმუნოება და ტანჯვა-აოხრება, რაც ჩვენ მხარეს და სხვებსაც მათგან ადგა. ეს ცნობები ჩვენი მისიონერებისათვისაც საჭიროა.

რ.

## ჟურნალ-გაზეთთაგან.

«დროებაში» იყო დაბეჭდილი შემდეგი საყურადღებო ამბავი:

ტელეგრამებმა მოგვიტანა ფრიად დასაფიქრებელი ამბები ბალკანიის ნახევარ კუნძულიდამ აღმოსავლეთის რუმელიის შესახებ. მკითხველი წაიკითხავდა, რასაკვირველია, გუშინდელსა და გუშინწინდელს ტელეგრამებს. საქმე ის არის, რომ, თითქმის ყველასთვის მოულოდნელად, აღმოსავლეთის რუმელიის ხალხმა—ბოლგარებმა ამ თვის 8, დაამხო ოსმალთ მმართველობა რუმელიისა და გამოაცხადა თავისი სურვილი დამოუკიდებელ ჩრდილო-ბოლგარიასთან შეერთებისა. ბოლგარიის მთავარმა ალექსანდრე ბატენბერგმა საჩქაროდ შეასრულა რუმელიის მცხოვრებთა სურვილი, მიიღო კიდეც მართვა ამ ქვეყნისა, მოახდინა განკარგულება ჯარების შესაკრებად, დასარაზმებლად და თვითონაც მივიდა ფილიპოპოლში თავის პირველის მინისტრითურთ. ეს ამბავი, როგორც ვსთქვით, სრულიად მოულოდნელად მოხდა. ევროპის სახელმწიფონი არავითარს განზრახულებას არ აცხადებდენ ამ საგნის შესახებ და არც ეცალათ ამისათვის. გერმანიას თავისი საქმე ჰქონდა ესპანიასთან კაროლინის კუნძულების შესახებ; მაშასადამე, ძნელი დასაჯერებელია, რომ თ. ბისმარკს აქ რამ მონაწილეობა ჰქონდეს. მით უმეტეს, რომ თვითვე იყო თავს-მჯდომარედ იმ კონგრესზედ ბერლინში, რომელმაც გადასწყვიტა აღმოსავლეთ რუმელიის დატოვება ოსმალეთ მფლობელობაში. არც ავსტრია გაერეოდა ამ საქმეში, რადგანაც ავსტრია, საზოგადოდ, გერმანიის სურვილს ემორჩილება და მხოლოდ იმის ბრძანებით თუ იკისრებდა იმ გვარის პასუხ-საგებელის საქმის დაწყობას, რომელსაც შეუძლიან აღმოსავლეთის საქმე კვლავ ფეხზე წამოაყენოს და ევროპის მთავარნი სახელმწიფონი ერთმანეთს შეაჯახოს. რუსეთსა და ინგლისს ჯერ კიდევ მშვიდობიანად არ გაუთავებიათ თავიანთი დავა შუა აზიაში, რომელმაც ერთიც და მეორეც აუარებელს ხარჯში შეიყვანა სხვა-და-სხვა არა-სახუმრო სამხედრო მომზადებათა გამო.

ასეთია საქმე, ფრიად ძნელი საქმე, უცბად დაბადებული ბალკანის ნახევარ კუნძულზედ. მართალია, ეს საგანი ისე მოულოდნელი არ იყო, როგორც მოულოდნელად თავი იჩინა, და ფრიად ბუნებრივს საქმეს წარმოადგენს, მაგრამ, მაინც, ძნელი მოსაფიქრებელი იყო, რომ სწორედ ამ ჟამად, ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისედაც გაჭირებულს დროს, როცა ასე ძრიელ ეჭირვება და სწყურიან მთელს ევროპას მშვიდობიანობა, ამავ ევროპისაგან განშორებული ორი ნაწილი ბოლგარიისა, ერთ-ხორცისა და ერთ-სულის ხალხით დასახლებული, ეხლა მოინდომებდა შეერთებას.

რუსეთის სახელმწიფოსათვის, რასაკვირველია, ფრიად სასიამოვნო უნდა იყოს ყოველივე ცდა სლავიანთა ტომის ბოლგარების ურთიერთშორის შესაერთებლად და გასაძლიერებლად; ძლიერმა რუსმა არც ფული და არც სისხლი არ დაზოგა მათ განსათავისუფლებლად 1878—1878 წწ., თვითონ საკუთარი ბოლგარია რუსეთის მადლობელი უნდა იყოს, რომ ოსმალოთ ხელიდამ განთავისუფლდა და დამოუკიდებელი სახელმწიფო წეს-წყობილება მიენიჭა. სან-სტეფანოს პირ-შეკრულობით, ოსმალეთი იძულებული იყო თვით აღმოსავლეთის რუმელიაც განთავისუფლებინა, მაგრამ ბერლინის კონგრესზე ეს თ. ბისმარკმა და მომეტებულად ოსმალეთის მომხრემ ბიკონსფილდმა არ ინება. ამით ამ ორმა სახელმწიფო კაცმა დიდი უსამართლოება ჩაიდინა არა თუ მარტო რუსეთის სახელმწიფოს წინაშე, არამედ თვით რუმელიის წინაშეც. როგორც ბოლგარია, ისე რუმელია თავისი შვილების საკუთარის სისხლით იცავდა თავის მიწა-წყალს და დამოუკიდებლობას. და როცა ხალხმა რუსეთის შემწეობით მართლა გაინთავისუფლა თავი, დაიპყრო დამოუკიდებლობა, ბერლინის კონგრესმა გადასწყვიტა, რომ მარტო ჩრდილო ბოლგარია განთავისუფლდესო, ხოლო სამხრეთ ბოლგარიას, ანუ აღმოსავლეთის რუმელიას მიეცეს მხოლოდ თვითმართველობა, მაგრამ ოსმალოთ მფლობელობაში კი დარჩესო და სამხედრო გუბერნატორი ხონთქარმა დაუნიშნოს თავის ქრისტიან ქვეშევრდომთაგანიო და ამ გუბერნატორმა იქონიოს ზედამხედველობა რუმელიის საქმეებზეო; ბიკონსფილდის აზრით, ეს იმიტომ იყო საჭირო, რომ ბალკანიის სიმაგრენი ოსმალეთის ხელში დარჩენილიყო და, თუ რუმელიის მიწა-წყალი სრულიად განთავისუფლდა, ეს აღარ მოხერხდებაო. ცხადია, რომ ამ გვარი არა ნორმალური მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ერთის ხორცისა და ერთის სისხლის ხალხი შეერთებას მოინდომებდა.

ეს ეს არის მიღებულის ტელეგრამიდამ სჩანს, რომ ამ ამბავს ოსმალეთის მთავრობა ძალიან დაუფიქრებია მინისტრთა საბჭო განუწყვეტლივ ბჭობს და თათბირობს, მაგრამ აქამომდე ვერაფერი საბოლოვო გარდაწყვეტილება ვერ დაუსკვნია. ოფიციალური გაზეთი «Turquie» ამბობს, რომ ბრწყინვალე პორტა ჰფიქრობს იარაღით ხელში ჩაერიო ამ საქმეში. ჩვენ გვგონია, რომ ამის ჩადენა ოსმალეთისათვის ძალიან ძნელია, თუ ინგლისმა არ მისცა მხარი და ჰენრი დრუმონდ ვოლფმა ახლანდელის ამბების გამო სრულიად არ შეარყია ოსმალეთის სიჯიუტე ინგლისთან კავშირის შეკვრის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ოსმალეთი დიდს საშიშროებაში ჩავარდება და მისი დღენი ევროპის მიწა-წყალზე არსებობისა იქნებ უკანასკნელ წამებად გარდაიქცნენ. არც ავსტრიას, არც ბისმარკს და არც რუსეთს მეტადრე, სრულიად არ ეპიტნავებათ, რომ იმათ მეზობლად ძალადობით შემოსეული აზიელი ხალხი ბრძანებლობს და ჰფლობს ქრისტიანე სლავიანთა ტომებს.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ უკანასკნელთა შესახებ ატყდება დავი-დარაბა, აინთება ცეცხლი აღმოსავლეთის საქმის უშველებელს კერაზე და იქნება ისე გაძლიერდეს, რომ მისი გაქრობა ძნელი შეიქმნეს. საქმე ის არის, რომ სლავიანთა შესახებ მხოლოდ ერთი რუსეთის სახელმწიფო იქცევა გულ-მართლად. მხოლოდ რუსეთს უნდა სლავიანთა ტომების ბედნიერება, თავისუფლება და დამოუკიდებელი ცხოვრება და არა ავსტრიას და გერმანიას, რომელთაც თავიანთი ფატერლანდიის ინტერესები ნებას არ აძლევენ, რომ სხვა ვინმემაც ისუნთქოს ქვეყანაზე თავისუფლად, ნემეცების გარდა.

ასეა თუ ისე, მშვიდობიანად ჩაივლის ეს საქმე, თუ სისხლის ღვრა ატყდება, გაჩუმდება პორტა და დათანხმდება იმაზე, რაც მოხდა, და რაზედაც თანხმა იყო სან-სტეფანოს პირ-შეკრულობის დაწერის დროს, თუ აღმოსავლეთის საქმე ამოჭყოფს თავს თავის თავ-სატეხი სირთულითა და სიძნელითურთ, ერთია ცხადი, რომ ამ გვარ მდგომარეობაში სრულიად ქვეყანა ძარღვებ დაჭიმულია, საომარი მზადება ძლიერდება, სავექსელო კურსი საშინლად იწევს ძირს (დღეს ხუთმანათიანი ოქრო 8 მან. და 40 ღირს, 15 კაპ. მოიმატა სამს დღეში), ვაჭრული ურთი-ერთობა მცირდება და ეკონომიური კრიზისი ძლიერდება. ყველა ამისაგან, რასაკვირველია, ყველა იტანჯვის და მეტადრე მშრომელი და საწყალი ხალხი.

ღმერთმა ჰქნას, რომ ამ გაჭირვებულს მდგომარეობას დიდხანს არ გაეწიოს და ეს დიდი საქმე უსისხლოდ, ხალხთა დაუსოცველად გათავებულიყოს მშვიდობიანის მორიგებით.

## მცირეოდენი რჩევა.

ჩვენს სწორედ ოცდა-ხუთი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც კავკასიაში შესდგა მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის სარწმუნოების აღსადგენად საზოგადოება. ვინ არ იცის ამ საზოგადოების მაღალმნიშვნელობიანი საგანი? ყველამ ვიცით და გვრწმენა, რომ ქრისტიანობის გავრცელება არის მიზეზი კაცობრიობის ასეთ ნაირად წინ კეთილის ბიჯის წადგმისა და ჩვენც, კავკასიის მთის მცხოვრებნი ქრისტიანობის გავრცელებასთან მოველოდით ცივილიზაციის სხივს, მით უმეტეს, რომ საზოგადოების წევრებად ითვლებოდნენ რუსეთის უუწარჩინებულესნი პირნი.

გავიდა ოცდა-ხუთი წელი, მოვახსენე მკითხველებს, რაც «მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება» დაარსდა მეთქი. ოცდა-ხუთი წელი დიდი დროა. ასე განსინჯეთ, რომ საზოგადოების მაშინდელ წევრთ უმეტესობა დროთა განმავალობის წყალობით განისვენებენ საუკუნოდ. ახლა დავეკითხოთ ჩვენს თავს, საზოგადოებამ მოუტანა რამე თვალ-საჩინო სარგებლობა თავის საქმეს?

თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იმდენი არა, რამდენსაც მოველოდით. მიზეზი ერთი უბრალო შეცდომა იყო, რომელზედაც მრავალი ითქვა მწერლობაში. ამიტომ ამ ჟამად იმაზე ლაპარაკი აღარ ღირს, მით უმეტეს, რომ ეს შეცდომა ამ ჟამად ცოტად თუ ბევრად გასწორდა.

ესეც რომ არ იყოს, ამაზე ლაპარაკი არ შეადგენს ჩემი წერილის საგანს, რის გამოც მე პირდაპირ ჩემს საგანზე გადავალ და მივაქცევ მე-25 და მე-40 პარაგრაფებს იმათ ყურადღებას, ვისიც რიგია.

ძველად ქრისტიანობის გავრცელებას სხვა ხასიათი ქონდა და კიდევაც ასე უნდა ყოფილიყოს, ახლა კი სულ სხვა დროა. ამ დროში ხალხის ყველა წოდება სულ სხვა თვალით უცქერის საგანს, ვინემ ძველად.

ძველად რომელიმე მეფეს ან ფეოდალს შეეძლო თვით მიეღო ქრისტიანობა და შემდეგ თავისი ქვეშევრდომთათვის მიეღებინებია. ახლა, როგორც ზევითაც მოვიხსენე, ეს შეუძლებელია, ამას გარდა ჩვენი სჯულის მდებელნიც ისე ჭკუიანურად მოქცეულან, რომ სჯულის მიღების საქმე კაცის სინდისზე მიუნდვიათ. ძალდატანება სარწმუნოების შესახებ სიბრიყვეაო. ახლანდელი დროც ამას ითხოვს. იქნება ზოგიერთებმა თქვან: მთის ხალხს სინიდისი სად მოეკითხებაო. იმათ ძალდატანებით უნდა მივაღებიოთ ქრისტიანობა, რომ შემდეგში იმათი შვილები მაინც ქრისტიანები დარჩნენო. ეს აზრი ძრიელ შემცდარია. მე მაგ. ვიცნობ ერთ მთიულ ხალხს, საცა უმეტესობას ძალით მიაღებიეს ქრისტიანობა. აი ძალადობა რაში მდგომარეობდა: ადგილობრივი ადმინისტრაციის უფროსი და სასულიერო მხრითაც ვინმე მეუფროსე მივიდოდნენ რომელიმე სოფელში, შეაგროვებდენ ხალხს და ეუბნებოდნენ: თქვენი ხელმწიფე ქრისტიანია და თქვენც უნდა ქრისტიანნი გახდეთ, უკეთუ არ გაქრისტიანდებით, იმ შემთხვევაში, იქ წაბრძანდით, საცა თქვენი სარწმუნოების მეფე გეყოლებათო. რა საკვირველია, ერთის მხრით უფროსის შიში, მეორეს მხრით, სამშობლო ადგილ-დედულის მიტოვება და სხვაგან გარდახვეწა უმეცარ ხალხს აშინებდა და უნებურად იძულებული ხდებოდა გაქრისტიანებულიყო ფორმალურად. ამ გვარ კაცს დღეს შეეძლო შენთან ქრისტიანი ყოფილიყო და მაჰმადთან მაჰმადიანი. მე ვიცნობ აფხაზეთში რამოდენიმე პირთ, რომელნიც ერთსა და იმავე დროს ორი სჯულის მიმდევარი არიან სიტყვითაც და საქმითაც. ამ გვარი პირები ჩვენ მისსიონერებსაც უწერიათ თავის სიაში და მაჰმადიანთა მისსიონერებსაც. ორივე მხარეს თავის მმართებლობიდამ მადლობა მოსდისთ... ყოველი ეს საიდამ წარმოსდგა? იქედამ, რომ ჩვენი მისსიონერები უხეირონი იყვნენ, ვერ ჩაუნერგეს ქრისტეს სწავლა გამაჰმადიანებულ ერს. ამ გვარი მაგალითები აუარებელი შეგვიძლიან ახლად მოქრისტიანებულ მაჰმადიანთ მცხოვრებთაგან მოვიყვანოთ. რისგან ხდება ყოველივე ეს? იმისაგან, რომ, როგორცა ვსთქვი, ჩვენი მისსიონერები რიგიანად ვერ უნერგავენ მთელ ქრისტეს სწავლას.

მაშ როგორ შეიძლება მოიქცენ მისსიონერნი?

იმას გარდა რომ მისსიონერები მუდამ ჟამს ცდილობდენ თითო-ოროლა კაცთან დაიჭირონ საქმე და ნელ ნელა ქრისტეს სწავლა შეაგონონ, ვალდებულად უნდა გახადოს საზოგადოებამ ყველა მღვდელი, რომ ყოველ წელიწადში თავის სამრევლოში ათს—ან თუთხმეტს ყმაწვილს ასწავლოს წერა-კითხვა, უსაჭიროესი სწავლანი ქრისტესი და უსაჭიროესნი ლოცვები განმარტებით.

ამ ჟამად საზოგადოებას ას ორმოცდა ათზე მეტი მღვდელი ჰყავს. თითოეული მღვდელი რომ ყოველ

წლობით თუთხმეტ-თუთხმეტ ბავშისთვის ესწავლებია რამე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, აქომამდის მთიელთ შორის უფრო ბევრი წერა-კითხვის მცოდნე, ჭკუა-გახსნილი და ნამდვილი ხალხი იქნებოდა, ვინემ ჩვენში—ძველ ქრისტიანებში.

ახლა მაინც, როდესაც საზოგადოების წესდება შეიცვალა, დროა საზოგადოების წევრთა ყურადღება მიაქციონ ამ მცირე შენიშვნას. ყოველი მღვდელი ვალდებულად გახადონ თავის სამრევლოში ათიდამ ოცამდის ყმაწვილებს ასწავლონ წერა-კითხვა, და რაოდენიმე უსაჭიროესნი სწავლანი სამღრთო სჯულიდამ. რისთვისაც მე-40 პარაგრაფის ძალით საზოგადოებას შეუძლიან მღვდელს შეძლებისა-და-გვარად ჯილდო მისცეს. უკეთუ საქმე ამ რიგზე წავა ათის წლის განმავალობაში 15,000—20,000 მეტი ნამდვილი ქრისტიანები გვეყოლებიან.

ანანია.

---

P. S. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოებას ბევრი ისეთი მღვდელი ჰყავს, რომელსაც არა თუ ქრისტეს სწავლისა, გარდა წირვა-ლოცვის ასრულებისა არა ესმის რა, და ამიტომაც საჭიროა, რომ ეს ნაკლი ახლავე შეივსოს სემინარიელებით და თუ არა, ოთხ-კლასიანებით მაინც.

ან.

## სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

ამ უკანასკნელს დროს, როგორც ყველამ იცის, სოფლის სკოლებში ინიშნებიან საოსტატო სემინარიაში კურს დასრულებულნი პირნი. კითხვა არის აღძრული ქადაგებითი სიტყვის გავრცელებაზე და, როგორც გვატყობინებენ სოფლებიდგან, თურმე ზოგიერთი ამ მასწავლებელთაგანნი გამოდიან ეკკლესიის ამბიონზე და ქადაგებას ამბობენ. მაგალითად სოფლის ოფჩის ეკკლესიაში მღვდლის ნება-დართვით გამოსულა ერთი სოფლის მასწავლებელი და უთქვამს სიტყვა ისეთ საგანზე, რომელზედაც ეკკლესიაში ლაპარაკი არ შეიძლება. ამისთანა ხმებს მიუწევია მის ყოვლად სამღვდელოს იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ყურადღებამდე. ამიტომ ყოვლად სამღვდელოს ამ საქმის თაობაზე გაუცია ცირკულიარული მიწერილობა ბლაღოჩინებზე და უბრძანებია, რომ არავინ გაბედოს თავისი შეთხზული სიტყვის წარმოთქმა ეკკლესიაში, თუ ეს სიტყვები ადგილობით ბლაღოჩინისაგან წინ-და-წინ განხილულ და ნება-დართულ არ იქნებიან. აქ საჭირო არის მოვიხსენიოთ, რომ რუსეთის ეპარქიებში ქადაგებითი სიტყვების განხილვა და ნება-დართვა შეუძლიათ მხოლოდ იმ ბლაღოჩინებს, რომელთაც სემინარიის კურსი აქვსთ შესრულებული.

***

ერთ რუსულ გაზეთს «Церковно общ. вѣст.»-ს სწერენ, რომ აფხაზეთში კარგად მიდიოდა ქრისტიანობის გავრცელების საქმე ალექსანდრე ეპისკოპოსის დროსაო, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ცუდათ მიდის ქრისტიანობის გავრცელების საქმეო. ეტყობა კორრესპონდენტს არაფრად ცოდნია აფხაზეთის საქმეები, თორემ მკვდრათ არ ჩასთვლიდა პატივცემულ ალექსანდრე ეპისკოპოსს, რომელიც ტანმრთელად ბრძანდება და ამდენს წიგნებს სცემს თავის ხარჯით...

***

შორაპნის მაზრის მარშალი უგანათლებულესი თავადი ბ. ალექსანდრე ბაგრატიონი ამ ხანებში მოგზაურობს შორაპნის მაზრაში, ყველგან ჰკრებს თავად-აზნაურობას და აგონებს მათ შორაპნის მაზრაში სკოლის დასაარსებლად ფულების შეკრებას. თავად-აზნაურობა, როგორც ამბობენ, სიხარულით ეგებება თავის მარშლის წინადადებას და იმედი არის, ტყუილა არ ჩაივლის მარშლის საქები მოთაურობა ამ საქმის შესახებ.

***

დაბა ყვირილაში ეხლა ბლომათ ვხედავთ აჭარლებს და ქობულეთლებს, რომელთაც აქ მოჰყავთ ხარები და ცხენები გასასყიდლად. როდესაც მათ გაიგეს, რომ აქ სცხოვრებენ მათი მოგვარეები ძლიერ გაეხარდათ. ძლიერ სასიამოვნო არის ამ აჭარლების ხშირი მისვლა-მოსვლა ჩვენ ხალხში. ამისთანა მოგზაურობა მათ ისე დაახლოებს მათ მოძმე ქართველებთან, რომ ისინი ადვილად მიუბრუნდებიან მამა-პაპურ სარწმუნოებას.

***

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ შევიტყვეთ, რომ სოფელს საქარას ერთ გლეხს ზელაძეს მოუკლავს თავისი სახლი კაცი სულ უბრალო საქმისათვის. მკვლელი დაჭერილია.

***

ამ თვეში გათავდება ბეჭდვა ახალი სასულიერო კანსისტორიის წესდებულებისა და ოკტომბრის თვეში ყველა ეკლესიებს დაურიგდება საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორისაგან.

***

ჩვენ შემოგვჩივლეს ზოგიერთებმა, რომ ფული დიდი ხანია წარდგენილია ახლად დაბეჭდილი ქართული დაბადებისათვისო, მაგრამ წიგნები ჯერეთაც არ მიგვიღიაო. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ორივე ტომი დაბადებისა დაიბეჭდა და მესტამბესაგან ჩაბარდა დანიშნულ პირს დასარიგებლად და რატომ არ ურიგდებათ ეკლესიებს ეს წიგნები ამდენი ხანი, მართლა, გასაკვირველია.

***

ზიდის დავი-დარაბით დაბა ყვირილაში მდინარე ყვირილაზე გააკეთეს ერთი რკინის ხიდი. თუმცა ამ ხიდზე ფულები კარგა ბლომათ დაიხარჯა, მაგრამ რადგან ყურის-მგდებელი არავინ იყო, ხიდის კეთების დროს, ფიჭვის ფიცრები დააგეს მასზე და ამ ერთ წელში ისე გაფუჭდა დაგებული ფიცრები, რომ ურმებით სიარული ამ ხიდზე დღეს ძლიერ საშიშო არის. ამ ხიდს არა აქვს აქეთ-იქით რიკული და საშიშო არის ღამით მასზე სიარული. ეხლა ფიცრები არის ჩატეხილი აქა-იქ და ვერ წარმოიდგენ კაცი შავი ქვის მზიდავი მეურმეების წვალებას ამ ხიდზე. ერთი პატარა ბავში საღამოზე ჩავარდა ჩატეხილ ფიცარში და ხელით ჩამოეკიდა ძირს. ამ დროს გამვლელებმა უშველეს მას, თორემ შიგ წყალში ჩავარდებოდა. წვრიმალი ოთხ-ფეხი საქონელიც გადავარდნილან ამ ხიდზე და მომკვდარან, რადგან ხიდი მაღლათ არის გაკეთებული. ნუ თუ არ შეიძლება ამ ნაკლულევანებათა გასწორება?..

***

შავი ქვის მუშაობა ძლიერ გაცხარდა. ამ წელში ორ-მილიონ ფუთამდე მარგანეცი გადმოიტანეს ადგილებიდამ ორმოცი ვერსტის სიშორეზე და გაგზავნეს სამზღვარს გარეთ. ზიდვას ვერ აუდიან. ეხლა ერთმა კაზნეკმა მოიყვანა რვაასი აქლემი მარგანეცის საზიდავად. ქირა ფუთზე 20-25 კაპეიკამდის არის დანიშნული.

***

ყვირილის გზა, რომელზედაც უმთავრესად ეს შავი ქვა მოაქვსთ მეტის მეტად გაფუჭებულია. ამ თვის პირველ რიცხვებში ამ გზით ჩამობრძანდა მთავარ-მართებელი ყვირილაში საჩხერიდამ და დაპირდა საზოგადოებას, რომ გამოითხოვს ხაზინიდამ საჭირო ფულს და კარგ გზა-ტკეცილს გააკეთებინებს.

***

ისევე საჩივრები გვესმის სოფლებიდამ გაზეთის თავის დროზე მიუღებლობისა გამო. ვსთხოვთ მაზრის უფროსებს დახმარებას.

***

წარსულ ივლისის თვეში წასულან ქალაქ კაზანიდამ პრიკაშჩიკების დანდობილი პირები უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორთან სათხოვნელად, რომ კვირა დღეს ისინი განათავისუფლონ მუშაობისაგან მათმა ალებმა. კანცელარიის მართველს ბ. საბლერს მიუღია იგინი თავაზით და უთქვამს, რომ კვირა დღეს მუშაობის მოსპობაზე აღძრულია კითხვა უწმიდესს სინოდში და მალე გამოცხადებულ იქმნება საყოველთაოდო.

# მოძღვრება *)

## ბავშების ნათლის-ღებაზე ბაპტისტების წინააღმდეგ.

(გაგრძელება)

ღვთის სიტყვა ცხადათ გვამცნებს, რომ ყოველი კაცი გამოუკლებლად, გარდა მხოლოდ უცოდველი ქრისტესა,—წარმოდგება რა ერთი ცოდვილი წინაპარის ადამისაგან, ცოდვილი არს; ცოდვილ არიან ისინიც კი, რომელთაც არ შეუცოდავსთ მსგავსად გარდასვლისა მის ადამისა; ე. ი. ბავშები (რომაელ. 5, 14); ცოდვილ არიან ისინი, როგორც უსჯულოებასა შინა მიდგომილნი და ცოდვასა შინა შობილნი (დავით. 50, 7). ვითარცა იგი ერთისა მის კაცისათვის ცოდვა სოფლად შემოხდა და ცოდვისა ძალით სიკვდილი, ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკვდილი მოიწია, რომელთა ყოველითა შესცოდეს (რომაელ. 5,

*) იხ. «მწყემსის» მე-17 №.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12). ცოდვილი არიან ყველანი? მაშასადამე ბავშებიც კი, თუმც მათ არ შეუცოდავსთ მსგავსად ადამის შეცოდებისა, გაგებით და თავისუფლად. შესცოდეს ყოველთა, და მაშა სადამე ბავშემაცბ შესცოდეს: ეს მტკიცდება იმითი, რომ ხშირად ბავშები, დაბადებისათანავე, კვდე ბიან. აქედამ მტკიცდება, რომ მავშებიც ცოდვილი არიან და ამიტომაც მათ იტაცებს სიკვდილი, რომელიც შედეგია ცოდვისა (იაკ. 1,15,) სამაგიერო ცოდვისა (რომაელ. 5,12; 6, 23). როგორც ცოდვილნი, ბავშებიც კი მტერ არიან ღვთისა (რომაელ. 5,8-10), ისინი უცხო ქმნილ არიან ცხოვრებისაგან ღვთისა (ეფეს. 4, 18; კოლ. 1, 21) ქმნილ არიან ბუნებით შვილად რისხვისად (ეფეს. 2, 3),—ისინი შვილ არიან რისხვისანი. ბუნებით, ვითარცა იგი სხვანი, მაგრამ თავის პიროვნული ცოდვებისა გამო კი არა. იგინი იმყოფებიან წყევასა ქვეშე (გალატ. 3, 10—13),—განწირულ არიან სასიკვდილოდ, მომაკვდავ არიან ცოდვისა გამო (ეფეს. 2, 1, კოლოს. 2, 13), აქვსთ მათ ხორციცა მომაკვდავი (რომაელ. 8, 11) და როგორც ხორცი, მკვდარ არიან სულით (რომაელ. 8, 13), ისინი ხორცითა თვისითა მოიმკიან ხრწნილებას (გალატელ. 6, 8) ამიტომ განა საშიშო არ არის ბავშების სვე, რომელნიც შედარებით წმინდანი და უცოდველნი არიან, მაგრამ ისინი მაინც ირიცხებიან ღვთის მტრებად, თუმცა ისინი სამუდამოდ დარჩებიან ხორცად, განუახლებლად? აქედამ ცხადია, თუ რა საჭიროა ვიზრუნოთ ბავშების გამოხსნაზე მათი ცოდვილი მდგომარეობისაგან, რომელიც უქადის მათ დასჯას და დაღუპვას!... ვინ იქნება ისე შეუბრალებელი, რომ არ მისცეს შემწეობა მათ, თუმც ეს შეწევნა შესაძლებელია? ასე შეუბრალებელნი არიან ბავშებისადმი ბაბტისტები, რომელნიც სტოვებენ ბავშებს უნათლავად ასაკში მოსვლამდის და რომლის გამო ათასობით იღუპებიან ბავშები საუკუნოდ. მართლ მადიდებელი ეკკლესია კი ასე არ იქცევა. მან უწყის, თუ რა საჭიროა ბავშებისათვის პირველ ცოდვისა და წყევისაგან გამოხსნა და ამიტომ არაფერს არ ზოგავს მათი ცხოვნებისათვის. უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ,—ახალმა ადამმა, გაგვამართლა ჩვენ თავისი მორჩილებით (რომაელ. 5, 19) თავისი ჯვარცმით მან გამოგვიხსნა ჩვენ ცოდვისა, წყევისა და სიკვდილისაგან (იოან. 1, 7; გალატ. 3, 10, 12; 1 კორინ. 15, 26. 54. 55), მან შეგვარიგა ჩვენ ღმერთთან (რომაელ. 5, 10), შეგვიყვანა ჩვენ ღვთის სასუფეველში, რათა შვილობა იგი მოვიღოთ (გალატ. 4, 4—5; რომაელ. 8, 14—16), და ვიქმნენით შვილ მკვიდრცა ღვთისა ქრისტეს მიერ (გალატ. 4, 7; რომაელ. 8, 17), და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო (რომაელ. 6, 22—23). მაგრამ ქრისტეს ჯვარცმას შევითვისებთ ჩვენ ნათლის ღებაში, შევითვისებთ მაშინ, როცა ჩვენ ქრისტეს მიმართ ნათელს ვიღებთ და ქრისტეს შევიმოსავთ (გალატ. 3, 27). უნათლისღებოდ ვერ ხელეწიფების შესვლად სასუფეველსა ღვთისასა. (იოან. 3, 5), საზოგადოდ ცხოვნება შეუძლებელია. საჭიროება ნათლის-ღებისა ყოველი კაცის საცხოვნებლად განა თავისთავად ცხადად არ გვიმტკიცებს ნათლის ღების საჭიროებას ბავშებისათვისაც? ცხადათ და ყველასათვის გასაგებად ამცნებს ამას, თუ განგებ არ დახუჭვენ თავიანთ სულიერთა თვალთა ჭეშმარიტების სინათლისაგან.

რომ ბავშებისათვისაც საჭიროა ნათლისღება და რომ მათი უნათლავად დატოვება საშიშოა, ამას ამტკიცებს ძველი აღთქმის სჯულიც წინა-დაცვეთაზე... მოსწავებას და მოსასწავებელს შორის, ჩრდილსა და სხეულსა შორის არსებობს ბუნებითი და მიუცილებელი მსგავსება. მოსწავება თავისი ნიშნებით უჩვენებს, თუ რა უნდა იქმნეს მოსასწავებელში. უმანკო ბატკანი პასექისა მოასწავებდა ქრისტეში უცოდველს და უწმიდესს ღვთის ტარიგს—უცოდველს გამომხსნელს. პასექის ზვარაკის ძვლების შეუმუსვრელობა მოასწავებდა იესო ქრისტეს ძვლების შეუმუსვრელობას ჯვარზე და სხვ. ამავე სახით წინადაცვეთაც მოასწავებდა მას, რაც უნდა ყოფილიყო ნათლის ღებაში. რას მოასწავებს წინადაცვეთა ნათლისღებაში? ის, სხვათა შორის, უჩვენებს ყმაწვილებისთვის ნათლის-ღების საჭიროებას და მასთან უჩვენებს იმ დიდ უბედურებას, რომელიც მათ მოელისთ, თუ უნათლავად დარჩნენ. ძველი აღთქმის სჯული ამცნებდა, რათა წინადაეცვითათ ყველა ყმაწვილები მერვე დღეს შობიდგან და ამას ამცნემდა იმის გამო, რომ წინადაუცვეთელი სიკვდილით დაისჯებოდა, როგორც დამარღვეველი ღვთის აღთქმისა (შექ. 17, 12—14) განა ეს ნამდვილად არ გვამცნებს, რომ ქრისტიანეთა ყმაწვილებზე შესრულებულ უნდა იქმნეს ნათლის-ღება, რომელიც არის მომასწავებელი ღვთის უმაღლესი აღთქმისა კაცთან? განა არ გვამც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებს იმ დიდ უბედურებას, რომელიც წარმოსდგება ბავშების უნათლავად დატოვებისა გამო, უბედურებისა, რომლის წყალობით უნათლავად მომკვდარნი ბავშები მოკლებულნი იქმნებიან საუკუნოდ ღვთის სასუფეველსა? განა ქრისტიანების ყმაწვილებისათვის იმ გვარადვე საჭირო არ არის ნათლის-ღება, როგორც ურიის ბავშებისათვის საჭირო იყო წინა-დაცვეთა? ხოლო ეს პირველი, ნათლის-ღება, უსაჭიროესი არის, რადგანაც უნათლავად გარდაცვალებულნი ბავშები მოაკლდებიან საუკუნო ცხოვრებას.

თუ კი ცხადია, რომ ბავშები არ არიან მოკლებულნი პაპეულ ცოდვებს, მაშინ ყრმათათვის ნათლის-ღება, მათი საუკუნო ცხოვრებისათვის, ცხადია. აი უმთავრესი კითხვა: განა ბავშების ნათლის-ღება შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ და მაცხოვნებლად? უფალი იესო ქრისტე ნათლის მღებლისაგან ითხოვს სარწმუნოებას: რომელსა აქვნდეს სარწმუნოება და ნათელ იღოს, ამბობს უფალი,— ცხონდეს; ხოლო რომელსა არა აქვნდეს სარწმუნოება, დაისაჯოს (მარკ. 16, 16). და რა სარწმუნოება უნდა ჰქონდესთ ბავშებს? ამბობენ ბაპტისტები და ამიტომ უარს ჰყოფენ ნათლის ღებას.

ნამდვილად, როგორც ვხედავთ ჩვენ ზემოთ მოყვანილი მაცხოვრის სიტყვებისაგან, ნათლის მღებელთაგან ითხოვება სარწმუნოება. მაგრამ როგორი სარწმუნოება? საღმრთო წერილში ჩვენ ვხედავთ სხვა-და-სხვა გვარ სარწმუნოებას. სიტყვა ღვთისა ამცნებს კაცის პიროვნულ, შეგნებულ სარწმუნოებაზე, და სხვა პირთა სარწმუნოებაზედაც, რომელიც ჩაეთვლების კაცსა. ამიტომ, თუ ნათლის მღებელთაგან ითხოვება სარწმუნოება, აქედამ სხვა-და-სხვა გვარი სარწმუნოებისა გამო, არ გამოდის, რომ ეს სარწმუნოება ყოველთვის უსათუოდ უნდა იყოს საკუთარი, შეგნებული სარწმუნოება კაცისა. რასაკვირველია, ასაკში მოსული კაცისაგან ითხოვება საკუთარი, შეგნებული სარწმუნოება, ხოლო ყმაწვილს შეიძლება ჩაერიცხოს ნათლის-ღების დროს სარწმუნოება სხვათა, მისი ახლობელი პირებისა და ამისთანა სარწმუნოებაზე ცხადათ ამცნებს სიტყვა ღვთისა.

---

## სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთა საყურადღებოდ.

### ინსტრუქცია მედავითნეთა მოვალეობაზე.

### როგორ უნდა იქცეოდეს მედავითნე თავის შესახებ და როგორ უნდა იქცეოდეს სამრევლოში.

(დასასრული)

ტანისამოსი მედავითნეს უნდა ეცვას სუფთა და წმიდა. არ უნდა იყოს ზარმაცი, არამედ უნდა შრომობდეს და მეცადინეობდეს რაიმე რიგიანი ხელობით; მედავითნე უმთავრესად უნდა კითხულობდეს სხვა-და-სხვა საღრმთო და საკაცებო წიგნებს, გონებით წარმატებაში მიდიოდეს და არ დაავიწყდეს ის, რაც უსწავლია. როდესაც პასუხი ეთხოვება თავის მღვდლის საჩივრისა მებრ მისი მოვალეობის აღსრულებაზე, უნდა ფრთხილად იყოს თავის პასუხში; უზრდელი და შეუფერებელი სიტყვა არაფერი იხმაროს თავის მღვდლის შესახებ და ერიდოს ნიადაგ კლიაუზნურ საჩივრებს თავის მღვდელზე, არასოდეს არ უნდა იღებდეს მონაწილეობას თავის მღვდელზე საჩივრების და დაბეზღებაების დაწერაში მრევლთან და არც უნდა აგულიანებდეს ამაზე სხვას. არასოდეს სოფლის სასამართლოს საქმეებში არ მიიღოს მონაწილეობა და ერთად სოფლის კაცებთან დუქანში არ უნდა სჭამდეს პურს და არც უნდა დარჩეს პურის ჭამაზე, როდესაც ნამეტანი ღვინის სმას დაიწყებენ. თავისუფალ დროს უნდა დაიარებოდეს სამრევლოში და პატარა ბავშებს ასწავლიდეს ლოცვებს, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა იქცეოდეს თავის მღვდლის ბრძანებისა მებრ. უნდა იცოდეს კარგად გალობა და თავისუფალ დროს ასწავლიდეს სხვა მსურველთაც გალობას ეკკლესიაშიდ სათქმელად. დიდ მარხვაში მარხულობის დროს უნდა ასწავლიდეს პატარაებს პირზე ჯვარის გამოსახვას და მეტანიას; უნდა ასწავლიდეს აგრეთვე თუ როგორ უნდა მივიდნენ ბარძიმზე საზიარებლად და როგორ გამობრუნდენ უკან. უმღვდლოდ არასოდეს არ უნდა იაროს სამრევლოში რაიმე დრამის შესაკრებელად. აგრეთვე მღვდლის შეუტყობლად არავინ ჩასწეროს საეკკლესიო საბუთებში. ყოველთვის სამრევლოს ენდა ექცეოდეს ზრდილობით და თავაზიანად და ნიადაგ უნდა ცდილობდეს თავისი მოვალეობის მტკიცედ აღსრულებას.

---

### სასარგებლო დარიგებანი მღვდლისათვის ღვთის მსახურების დროს.

როდესაც ასრულებდე მღვდელ-მოქმედებას გახსოვდეს მღვდელს, რომ უნდა იდგე სწორა, არ უნდა გქონდეს თავი გადაწეული არც წინ ნამეტნავად და არც უკან და არ უნდა არხევდე ტანს და თავს ერთ ადგილზე მდგომი. ეს უნდა გახსოვდეს ნამეტურ მაშინ, როდესაც ალსავლის კარი გაღებული არის. ძლიერ ცუდი შესახედავია მღვდელი, როდესაც კამილავკა ახურავს თავზე და თავი გვერდზე ანუ უკან აქვს გადახრილი. მღვდელ-მოქმედების დროს უნდა დახვიდოდე ნელა, მედგრად და არა აჩქარებით. როდესაც ალსავლის კარიდამ ჯვარს სახავ ხალხს, უნდა სწორედ გამოსახო ჯვარი ხელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მერე უნდა თავი დაუკრა ხალხს და გამობრუნდე წალმა. თავი უნდა დაუკრა ხალხს ჯვარის გამოსახვის შემდე. ალსაგლის კარები უნდა გაალო წუნარად, ნელა და ამ დროს ხალხს თავი არ უნდა დაუკრა. უნდა გაფრთხილებული იყო, რომ შესამოსელი ტანზე გადგეს სწორა და თმაცა ნიადაგ კარგად დავარცხნილი გქონდეს. თავისი ტანისამოსი, რომელიც შესამოსელში სჩანს, უნდა სუფთა გქონდეს. თუმცა ესეები უბრალო რამეებია, მაგრამ მიუცილებლად საჭიროა, რათა ყველა მღვდელმა იცოდეს ეს და ასრულებდეს კიდეც.

## დარიგება სისხლოვანი ჭიების (ვაშლის ტილის) გაწყვეტაზე.

სისხლიანი ჭიები (ვაშლის ტილები) აშკარათ განირჩევიან სხვა-და-სხვა ჭიებისაგან, რომელნიც სცხოვრებენ ხოლმე ვაშლის ხეებზედ თეთრი ღინღლით, რომელითაც დაფარულია მათი სხეული და სავსენი არიან წითელი სისხლით, რომელსაც ადვილათ შენიშნავთ გასრესის დროს. ამისთანა ჭიები არიან ორ გვარი: უფრთო და ფრთოვანი, ძლიერ ჩქარა შენდება, სცხოვრებს ვაშლის მცენარეებზე და იზრდება ამ ხის ტოტებზე ფესვების წვენით. განსაკუთრებით ძლიერ მავნებელნი არიან ეს ჭიები პატარა ბაღის ვაშლების და სხვა პატარა მოზარდე ბაღის ვაშლის მცენარეთათვის. პატარა ახალი მოზარდე ვაშლის ხეები, რომელსაც დაესევა ეს ჭიები, ორ-სამ წელში ფუჭდებიან. დიდი ხეები კი, რომელსაც დაესევა ეს ჭიები, თუმცა არ ხმებიან, მაგრამ ძლიერ აკლებენ ნაყოფის მობმას და ხშირათ სულაც აღარ მოიბმენ ნაყოფს. გაქრობა ამისთანა მავნებელი ჭიებისა არანჟერიებში (სხვა-და-სხვა ბაღის მცენარეების საშენებელ სახლებში) შეიძლება მხოლოთ მაშინ, როდესაც გააწყოთ თვითონ ამ ვაშლის ხეებს, ნერგებს. მაგრამ, როდესაც ეს ჭიები დაესევა დიდი ვაშლის ხეებს, საჭირო არ არის, რომ სულ გადააწყო, გადააშენო იგინი. საკმაოა მათ საქიმოთ იხმარო ქვემო მოყვანილი საშვალებანი. ყველა ღონის მიებათაგან, რომელთაც ხმარობენ ამ ჭიების დასახოცავათ დაიმსახურებენ ყურადღებას შემდეგნი:

1) ამ ჭიების გასაწყვეტათ, როდესაც ფესვებზედ არის დასეული, შემოდგომაზე უნდა შემოთხარო გარეშემო მცენარის ძირი ფესვებამდისინ და შემოაყარო კირი; ეს ჭიები ზამთრობით ძირს ფესვებისკენ რომ წავა, ჩავა ამ კირზედ და დაიხოცებიან. გაზაფხულზედ კირი უნდა შემოაცილო და სხვა ახალი კარგი მიწა უნდა შემოაყარო. კირის მაგიერ შეიძლება იხმარო, გოგირდნახშირი კალი (Сс̆роуглеродистый калiи) აფთიაქში იშოვება. ეს უნდა გაურიო წყალში და საგანგებოთ ამოთხრილ მცენარის გარეშემო მიწაში უნდა ჩაასხა.

2) მიწას ზევით ამ ჭიების ხეებზედ გაწყობისათვის უნდა მოიქცე ასე: ა) უნდა წაუსვა გარეთ კანზედ, სადაც დასეულია ეს ჭიები თუთუნის გადმონადუღი წყალი, ანუ. ბ) ჯერეთ უნდა გასწმინდო ხე და მისი ტოტები ამ ჭიებისაგან და ბოლოს უნდა წაუსვა თხელი ერთ ნაირი ხის სანთელი, ანუ. გ) უნდა გაწმინდო ავათმყოფი ადგილები ხისა, მოაშორო კორძლები და წაუცხო, სადაც შენიშნული იყოს ეს ჭიები შჩოტკით ანუ ჩვრით ერთ ნაირი წამალი რომელიც მომზადდება თანასწორი ნაწილისაგან კეროსინისა (ძლიერ წმინდა საწვავი ნავთი) და სამარხო საჭმელი ზეთისაგან, ანუ კეროსინისა და წყლისაგან, ანუ დ) უნდა უსვა იმ ადგილების, სადაც შენიშნული იქნება ეს ჭიები ჩვრით ანუ შჩოტკით ერთ ნაირი წასასმელი, რომელიც მომზადდება ხუთი ნაწილი ამილოვის ალკოგოლისაგან (უწყლო სპირტისაგან) ორმოცი ნაწილი სპირტისაგან, ორმოცი ნაწილი სპირტისაგან, ოთხი ნაწილი საპონისაგან, რომელიც მომზადდება ნაცარ წმენდილისაგან, და სამი ნაწილი მაგრათ გადმონადუღი თუთუნის ფოთლებისაგან.

ამ უკანასკნელი საშვალების ხმარება ეხლანდელ დროში უფრო გავრცელებულია, რადგან ძლიერ სასარგებლო აღმოჩნდა ამ საშვალების ხმარება გერმანიაში და ფრანციაში.

რომ სხვა ვაშლის ხეებს და ნერგებს არ გადაედვას ეს ჭიები მიუცილებლად საჭიროა:

1) მებაღეებმა, სადაც გაჩნდება ეს ჭიები უნდა მოსპონ-გაყიდვა ნერგებისა და მხოლოთ ყიდნენ დასამყნელად ტოტებს, მაგრამ შემდეგ წამლების ხმარების და კარგათ გაწმენდისა, და 2) ბაღის მეპატრონეებიც გაფრთხილებულნი უნდა იყვნენ ვაშლის ნერგების გამოწერის და მოტანის დროს, რადგან ადვილად შეიძლება გაუფრთხილებლობით ამ ჭიების გაჩენა ბაღში.

თუ დარწმუნებული ვართ, რომ იმ ბაღებში, საიდამაც გვსურს გამოწერა ანუ დაბარება ვაშლის ნერგებისა, არ არის ეს მავნებელი ჭიები, მაინც უნდა ვიკმაროთ მარტო დასამყნელი ტოტები და თვალყური უნდა გვეჭიროს ერთი წელი მაინც, რომ არ გამოჩნდეს ეს ჭიები მათზე. თუ ეს ჭიები შეინიშნა ამ ნამყენებზედ, დაუყონებლივ მთელი ეს მცენარე უნდა იქმნეს დამწვარი ფესვებიანათ თავისივე ადგილზე, რომ ამ სახით გასწყდეს ეს ჭიები პირველ დროშივე, სანამ ჭიებს ფრთები გამოესხმოდეს, რომ სხვაგანაც არ გაჩნდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადებანი.

გამოცემა გიორგი ქართველიშვილისა

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება «დროების» რედაქციაში.

## ვახუშტი

## საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმიტრი ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი.

ძველის საქართველოს საზოგადო ქართით.

შედგენილი და დახატული ქვაზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან,

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

---

გრ. ჩარკვიანის.

## ☞ ქართული წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები ქ. თფილისში ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ სემინარიის პირდაპირ ზუბალოვის სახლებში.

---

### გამოვიდა და ისყიდება

ქართული სახელმძღვანელო სამღრთო სჯულის სასწავლებლად, შემოკლებული ძველი და ახალი აღთქმის ისტორია, ახსნით: ლოცვები, ათი მცნება და სიმვოლო სარწმუნოებისა.

შედგენილი მღვ. ნესტორ ყუბანეიშვილისაგან. ისყიდება თბილისში—ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში და ოზურგეთში—წიგნის შემდგენელის ბინაზე.

(10—2)

---

## ლოცვანი

საჭირო და სასარგებლო ყოველ მართლ-მადიდებელ აღმსარებელ პირთათვის, შედგენილი მღ. დ. ღამბაშიძის მიერ.

ამ ლოცვნით ყველას შეუძლია ისარგებლოს: როგორც მოსწავლეებს, ისე სხვა პირებს, დიდებს და პატარებს, ვინც კი კითხვა იცის, სამღვდელოს და საეროს.

**ფასი ლოცვნისა გაგზავნით და გაუგზავნელად ყველგან ექვსი შაური.**

მშვენიერ ყდაში გაკეთებული ლოცვნის ფასი არის ცხრა შაური.

ლოცვნების ყიდვა შეიძლება:

**ქუთაისში:** ჭილაძის და მურადოვის წიგნის მაღაზიებში და პეტროვის ბიბლიოტეკაში.

**თფილისში:** ჩარკვიანის და შრიქუროვის წიგნის მაღაზიებში.

ვინც „მწყემსის" რედაქციიდამ დაიბარებს არა ნაკლებ ორმოცდა ათი ეკზემპლიარისა, მას მანეთზედ დაეთმობა **ხუთი კაპეიკი.**

---

**შინაარსი:** მოწინავე სტატია.—მოგზაურობა.—ახალციხიდამ.— წერილი რედაქტორთან. — მაჰმადი-ისლამის დამაარსებელი და საქართველო არაბების მფლობელობაში. — ჟურნალ-გაზეთთაგან. — სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.—მოძღვრება ბაპტისტების წინააღმდეგ (გაგრძელება).—სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა საყურადღებოდ.—დარიგება სისხლოვანი ჭიების (ვაშლის ტილის) გაწყვეტაზე.—განცხადებანი.

---

Доз. цензурою Кутаисъ, 30 Сентября 1885 г.

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.